კოლხეთის ეროვნული პარკის UNESCO -ს უბნად გამოცხადება

გვ. 2

ფოთში სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია იწყება

გვ. 3

ჩვენი ფოთი საქართველოში

ფასი 50 თეთრი №3 19 - 26 თებერვალი 2018 წელი\ -- გამოდის სამშაბათობით

გოჩა კურდღელია: „ყველაფერი ფოთელების საკეთილდღეოდ კეთდება„

გვ. 3

ჰიდროკვანძის რეაბილიტაციის ტენდერი გრძელდება

გვ. 3

პირველკლასელების ოთახში ჭერის ფრაგმენტი ჩამოვარდა

გვ. 4

გაერთიანება გაერთიანებისთვის

როგორ მუშაობს გაერთიანებული აიპი

გვ. 5

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?


ფოთი
TOWARZYSTWO DEMOKRATYCZNE WSCHÓD
Polish aid
HOME
ბიზნესი
ფოთში რკინიგზელებიც გაიფიცნენ
„საქართველოს რკინიგზის" თანამშრომლთა აქციის ფოთის რკინიგზელებიც
ზღვაოსნურ კეთილდღეობის საალიანსოდან გამგზავრებულმა თანამშრომლებმა და პრესტიჟული სამუშაო პირობები გაპროტესტეს
28.11.2014 | კომენტარები
ნიკო ლუკა მსოფლიო ჩემპიონატის ბრონზეობენი
ზღვის ფოთელ ტალღებსა ოქრის ბეღლის მეიზეგის
Search
განცხადებები
ბინა ფოთში ნებისმიერ ადგილას
ბინა ფოთში
ბინა ფოთში
ბინა ფოთში

გამომცემელი და დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ინგაგვასალია
რედაქტორი
ივეტა პაჭკორია -
597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 24 11 22

თეკლა მატკავა
(ფოთი)
568 74 41 12

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
597 97 76 18

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ფოთში სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია იწყება

სანაპირო ზოლის რეაბილიტაციისთვის საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან 3 მილიონი ლარი გამოიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით მოეწყო კუნძულის უბნის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის გეგმისა და წინადადებების საჯარო განხილვა.

პროექტის მიხედვით, დაგეგმილია 61 ათასი კვ. მეტრი ფართობის ზოლის ფილებით მოკირწყვლა, საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ვეტერანთა სახლისა და საბავშვო მოედნის მოწყობა, კაფეებისა და კომერციული ობიექტების განთავსება. ასევე იგეგმება ბულვარის გაკეთება.

ფოთის მერ გოჩა კურდღელიას თქმით, პროექტი განხორციელდება სამომავლო განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით, გაგრძელდება მუშაობა მეტი თანხებისა და ინვესტიციების მოსაზიდად. მისივე განცხადებით, საკონკურსო წინადადებების მზადების პროცესში მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჩართულობა და მათგან ახალი წინადადებებისა და მოსაზრებების მოსმენა.

გოჩა კურდღელიამ თავის მოადგილე ირაკლი თოფურიასთან ერთად, კუნძულის უბნის სანაპირო ზოლი დაათვალიერა.

„კულტურის სტრატეგია 2025„

ფოთს ვიცე მერ გიორგი ფარეშიშვილის თხოვნით, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები ეწვივნენ და საჯარო ბიბლიოთეკაში<!--მორე-- „კულტურის სტრატეგია 2025“-ის განხორციელების რეგიონული სამოქმედო გეგმების შემუშავების გზამკვლევის საჯარო განხილვა გამართეს, რომელსაც კულტურის სფეროს წარმომადგენლები და გიორგი ფარეშიშვილიც ესწრებოდნენ.

სამინისტროს წარმომადგენლების ჩამოსვლის საჭიროება მას შემდეგ გადაწყდა, როდესაც ვიცე მერმა გაარკვია, რომ ფოთში არ არსებობდა კულტურული განვითარების სტრატეგიული გეგმა.

შეხვედრას კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპეციალისტები სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგის სამმართველოდან ელინა გედენიძე და რეგიონალური პროგრამების სამმართველოდან ნინო ახალაია უძღვებოდნენ.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2016 წელს დამტკიცდა საქართველოს კულტურის განვითარების გრძელვადიანი დოკუმენტი - “კულტურის სტრტატეგია 2025”, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ფართო საზოგადოებისა და საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი კომისიის ჩართულობით შეიმუშავა. დოკუმენტი, განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს კულტურის სხვადასხვა დარგის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების ეტაპობრივად გადაჭრას.

შეხვედრაზე პროექტების წერასა და დონორი ორგანიზაციების მოძიების პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება. სტუმრებმა კულტურის სფეროს წარმომადგენლებს მისცეს რჩევები 2018-2019 წლის კულტურული სტრატეგიების შემუშავების შესახებ.

კულტურის სამინისტროში სტრატეგიის გეგმის წარსადგენად ფოთელებს მხოლოდ ერთი კვირა დარჩათ.

კოლხეთის ეროვნული პარკის UNESCO -ს უბნად გამოცხადება

UNESCO კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნად გამოცხადებას გეგმავს. დაცული ტერიტორიების სააგენტო ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან (WWF) ერთად მუშაობს, რათა ასეთი მემკვიდრეობის უბნებად პირველად მაჭახელას, მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები ასევე, კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები გამოცხადდეს.

აღნიშნული პროექტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობასთან ერთად 2017 წლიდან ხორციელდება. მისი თანადამფინანსებელი გახლავთ ასევე გერმანიის გარემოს დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო და (WWF).

შეხვერდა, „წინასწარი შეფასება კოლხეთის ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნად გამოცხადების მიზნით“ ფარგლებში გაიმართა, პროექტის მნიშვნელობაზე დაინტერესებულ მხარეებთან დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ დავით მარკოზაშვილმა ისაუბრა. შეხვედრას ასევე დამოუკიდებელი ექსპერტები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დისკუსია მოსწავლეებთან გენდერულ თანასწორობაზე

„ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის” ფოთის მედიაცენტრის ორგანიზებით დიოსკურიასთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის მოსწავლეებისთვის გენდერული თანასწორობის თემაზე დისკუსია გაიმართა. დისკუსიაში ასევე მონაწილეობდნენ ფოთის საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი და პედაგოგებიც.

აღნიშნულ ცენტრში სხვადასხვა სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეები არიან გაწევრიანებული. მათ დღევანდელ საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ქალთა როლის გაძლიერებაზე, ევროპულ გამოცდილებაზე, კვოტირების მექანიზმებზე, გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე გენდერული მედიაცენტრის დირექტორი ინგა გვასალია ესაუბრა.

დისკუსიაში მოზარდები აქტიურად ჩაერთვნენ. მათ გენდერული თანასწორობის მიღწევაში ხელის შემშლელ მიზეზებზე გაამახვილეს ყურადღება. მათი თქმით ჯერ კიდევ არსებობს ქვეყანაში სტერეოტიპები, როგორიცაა რომ ქალი მხოლოდ უნდა იჯდეს სახლში და აღზარდოს შვილები, ოჯახი მხოლოდ მამაკაცმა უნდა არჩინოს და ქალს რა ესაქმება სამსახურში. მოსწავლეები ვითარებიდან გამოსავალს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში ხედავენ.

გენდერული საბჭოს წევრმა ეკატერინე ფაჩულიამ გენდერული კვოტირების მექანიზმის ამოქმედების აუცილებლობაზე და ახალგაზრდების ამ საკითხით დაინტერესების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

გოჩა კურდღელია: „ყველაფერი ფოთელების საკეთილდღეოდ კეთდება„

ივეტა პაჭკორია
ფოთი

როგორ ჩაიარა მერის თანამდებობაზე მუშაობის სამმა თვემ და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს გოჩა კურდღელიას ვეწვიეთ. მერთან ინტერვიუმდე მოსახლეობაში გამოკითხვა ჩავატარეთ, რას ფიქრობენ ფოთელები ახალ მერზე. უნდა აღინიშნოს, ფოთელები ახალი მერის მიმართ ოპტიმისტურად არიან განწყობილი, რომელიც მათ წინა მერის არჩევისას ჰქონდათ. მოსახლეობა იმასაც ამბობს, რომ ახალ მერს საკმაოდ ცუდი მემკვიდრეობა დახვდა, თუმცა ამაზე თავად კურდღელია არაფერს ამბობს. მისი უპირველესი ამოცანა ქალაქის ბიუჯეტის გაზრდაა. სამთვიანი მუშაობის შეფასებას მოსახლეობას ანდობს, თავად ამაზე დუმილს ამჯობინებს. როგორც ამბობს, დაგეგმილზე მეტი დრო შიდა სტრუქტურულ რეორგანიზაციას დასჭირდა.

– მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ცვლილებებს დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია გვემუშავა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მეტი თანხების მოძიებაზე. მოგეხსენებათ, ჩვენი ბიუჯეტი ძალიან მწირია და იგი ნამდვილად არ არის საკმარისი ჩვენი თანაქალაქელების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ჩვენი მუშაობის სამი თვე დასჭირდა სტრუქტურულ რეორგანიზაციას. შევქმენით ახალი შტატები, ახალი განყოფილებები. კერძოდ, შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების, ბუნებრივი წიაღისეულისა და მართვის, დევნილთა საკითხები განყოფილებები. უკვე ვფიქრობთ, რომ მომავალში მოგვეცემა საშუალება, ჩვენი დროის უდიდესი ნაწილი მოვახმაროთ შემოსავლების ზრდაზე მუშაობას.

–წინასაარჩევნო ინტერვიუში აღნიშნავდით, რომ ხედავთ ნავსადგურის კვლავ ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდის წყაროდ ქცევის პერსპექტივას. რას იტყვით დღეს, როდესაც მოხვედით ხელისუფლებაში?

– კიდევ უფრო დავრწმუნდი ჩემს შეხედულებებში. შწორეს ნავსაფგურზეა დამოკიდებული ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაც. უნდა მოხდეს ნავსადგურის ბიუჯეტში ჩარიცხული თანხის გონივრული გადანაწილება და ფოთმა მეტი სარგებელი უნდა მიიღოს. დღეს თევზის გადამამუშავებელ ქარხანას მეტი შემოსავალი მოაქვს ქალაქისათვის, ვიდრე ნავსადგურს. პორტის გადასახადი ცენტრალურ ბიუჯეტში 50 მილიონი ლარია წელიწადში, აქიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოდის მხოლოდ 2 000600 ლარი, რაც ნამდვილად მცირეა და ჩვენთვის ძნელია იმ მიზნების და ვალდებულებების შესრულება, რაც გვაქვს ჩვენი ქალაქის წინაშე. მაჟორიტარ დეპუტატთან და საკრებულოსთან ერთად აუცილებლად დავიწყებთ მუშაობას მეცნიერული და საექსპერტო დასკვნების მოსამზადებლად, რომელსაც წარვუდგენთ ცენტრალურ ხელისუფლებას, რათა მოხდეს თანხის გონივრული და შესაბამისი გადანაწილება.

– რამდენად გაქვთ ცენტრალური ხელისფლების მხარდაჭერა აღნიშნულ საკითხზე?

– მინდა აღვნიშნო, რომ ცენტრალური ხელისუფლებიდან ძალიან დიდი მხარდაჭერაა, რაშიც ჩვენს მაჟორიტარს უდიდესი წვლილი მიუძღვის. ახლო მომავალში დაიწყება შემოსასვლელი ხიდის მშენებლობა, რომლის ინვენსტირება 50 მილიონი დოლარია. ჩვენი თანაქალაქელები დასაქმდებიან, უკვე წინამოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო ჰოლანდიურმა კომპანიამ, რომელიც განახორციელებს 90 მილიონი ლარის ღირებულების კანალიზაციის პროექტს და აქაც დასაქმნდებიან ფოთელები. პროექტის დასრულების შემდეგ ჩვენს ქალაქს ერთხელ და სამუდამოდ გადაუწყდება კანალიზაციის პრობლემა. ასევე იგეგმება სპორტის სასახლის მშენებლობა.

– რა არის ამ წლის პრიორიტეტი?

– დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ ვართ ადგილობრივი თვითმართველობა. ამიტომ, ჩვენი პრიორიტეტი სულ იქნება ადგილობრივი მოსახლეობა და სოციალური პირობების გაუმჯობესება. გამომდინარე იქიდან, რომ ცარიელი ხელებით ჩვენ ვერაფერს გადავწყვეტთ, ჩვენ ვეძებთ სხვა მიმართულებებს, რომელიც დაგვეხმარება ამ პრიორიტეტული საკითხები გადაწყვეტაში. სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად აუცილებელია დასაქმების გაზრდა, ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტა, ბიზნესის და ტურიზმის განვითარება. სულ ახლო მომავალში ჩვენ გამოვაცხადებთ კონკურსს კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციაზე. ეს პროექტი ხორცელდება რეგიონულ ფონდთან ერთად და მინდა მადლობა გადავუხადო მაჟორიტარს, ასევე, ინფრასტრუქტურისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ზურაბ ალავიძეს. ეს მოგვცემს საშუალებას ტურისტული კუთხით უფრო დავტვირთოთ ჩვენი ქალაქი. ასევე განვავითაროთ სამონადირეო და სათევზაო ტურიზმი. კანონმდებლობაში ამ კუთხით შეუსაბამო მუხლებია. მოგეხსენებათ, ცენტრალურ ხელისუფლებაში განხორციელდა რეორგანიზაცია, მოხდა სამინისტროების გაერთიანება. ცენტრალური ხელისუფლება ყველანაირად მომართულია, ხელი შეუწყოს ქალაქის განვითარებას და ამ კუთხით ძალიან ბევრი გვაქვს საშრომი.

-რა იგეგმება ახალგაზრდების მიგრაციის შესაჩერებლად?

– აუცილებელია ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერება. ფოთში მეუფე გრიგოლის ძალისხმევით, დაარსდა ახალი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც სამაგისტრო ხარისხს ანიჭებს სტუდენტებს. პროფესიული კოლეჯის განვითარებაც იგეგმება, რათა უფრო მეტი ახალგაზრდა დაეუფლოს სხვადასხვა პროფესიას. რადგან მოვედით ამ პოზიციაზე, ვიცით და ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანია ჩვენი ქალაქი, რომელიც ნამდვილად უნდა დაემსგავსოს ევროპულ ქალაქს. განვმეორდები და ვიტყვი, ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ თითეული ფოთელი ცხოვრობდეს უკეთესად.

– თქვენი აზრით, როდის იგრძნობს უკეთესობას ქალაქის მოსახლეობა?

– გვინდა, ჩვენი ყოველდღიური მუშაობით უკეთესი პირობები შეიქმნას. ველოდებით ჰიდროკვანძული ხიდის რეაბილიტაციას, ახალი ხიდის მშენებლობას, სავარაუდოდ, ზაფხულისთვის უნდა დაიწყოს მშენებლობა. ეს ხიდი უნდა შეუერთდეს გრიგოლეთის გზას. საუბარია მეორე ეტაპზე, როცა გზა გაივლის კუნძულ კოლიმბარზე. უკვე გამოყოფილია პირველი ეტაპისათვის თანხები, რომელიც ითვალისწინებს ოთხ სავალგზიანი ხიდის მშენებლო-

დასასრული 4-გვ.

ჰიდროკვანძის რეაბილიტაციის ტენდერი გრძელდება

თეკლე მატკავა
ფოთი

გასაოცარი არქიტექტურის, ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ჰიდროკვანძის რეაბილიტაციის სამუშაოები მალე დაიწყება. ჰიდროკვანძი 50-ოდე წლის აშენდა და თავისი მნიშვნელობით, აუცილებლობით საუკუნის პროექტად შეიძლება ეწოდოს. ჰიდროკვანძი, რომელიც 2011 წლიდან „უპატრონოდ“ იყო მიტოვებული, 2017 წლის 1 დეკემბრიდან „საქართველოს მელიორაციის“ სამსახურს გადაეცა მფლობელობაში. აღნიშნულმა სამსახურმა ნაგებობის საჭიროებები ადგილზე შეისწავლა და 2017 წლის 27 დეკემბერს გამოაცხადა ტენდერი სახელმწიფო შესყიდვის კანონით. ტენდერში მონაწილეობენ ძირითადად ქართული კომპანიები. ჯერჯერობით გამოვლენილია კონტრაქტორი კომპანია „ერის იმედი”, თუმცა ხელშეკრულება ჯერ დადებული არ გახლავთ.

ჰიდროენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთ აუცილებელ და მოქმედ საშუალებას სხვადასხვა დანიშნულების მქონე ჰიდროკვანძები წარმოადგენენ. საქართველო გამოირჩევა მთა-გორიანი რელიეფით, ამიტომ ეს ჰიდროკვანძები განლაგებულია მთის ან მთისწინა რაიონებში, ასევე, ზღვისა და ხმელეთის ურთიერთობების ანუ, სანაპირო ზოლის ეროზიული პროცესებისგან დაცვის მიზნით, რომელიც პირდაპირ კავშირში არის მდინარე რიონის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და ჰიდრომოდულზე. ასეთი დასკვნის რეალობა დასტურდება იმ ფაქტით, რომ ქალაქ ფოთის პორტის მშენებლობის პერიოდში, 1863-1870 წლებში, როცა მდინარე დატვირთული ნატანით მთლიანად მიედინებოდა სამხრეთით 2 კილომეტრში (ახლანდელი ქალაქის არხი), 1939 წლამდე სანაპირო ზოლში მიმდინარეობდა აქტიური პლაჟწარმომქმნელი პროცესი და მდ. რიონის ზღვაში შეჭრის მაქსიმალური სიგრძე 540 მეტრს აღწევდა. ჰიდროლოგიური კვანძის აუცილებლობა განაპირობა ქალაქის ხშირმა დატბორვებმა. ამ პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, 1939 წელს, საზღვაო ნავსადგურის ჩრდილოეთით, მდინარის ნაბადის კალაპოტში გადაგდებამ, მისი მთავარი კალაპოტის შუა წელში ჰიდროლოგიური პროცესების მნიშვნელოვნად გაუარესებამ, კერძოდ, კალაპოტის მეტისმეტად გამრუდებამ მენდრირების შედეგად, კუნძულების შექმნამ, ხერგილების წარმოქმნამ და შედეგად ამისა დინების სიჩქარის საგრძნობლად შემცირებამ კალაპოტში ნატანის დალექვის პროცესის გაძლიერება გამოიწვია და იმდენად შეამცირა სანაპირო ზოლში მყარი ნატანის შეტანა, რომ პლაჟწარმომქმნელი პროცესების ნაცვლად დაიწყო და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს ზღვის ნაპირის ეროზია, რომლის შედეგად 1939 წლიდან დღემდე ზღვამ წარეცხა 400 მეტრი სიგანის ხმელეთი, ე.წ „დიდი კუნძულის“ მიდამოებში და ქალაქმა დაკარგა 350 ჰა. სანაპირო ზოლი, მასზე არსებული ბულვარი, რამდენიმე მჭიდროდ დასახლებული ქუჩა, ყოფილი სამხედრო ეკლესია, სასაფლაო, იპოდრომი და ა.შ.

მდგომარეობის გამოსასწორებლად რუსი ინჟინრის პროექტით, შეიქმნა ყოპილ საბჭოთა პერიოდისათვის უკონკურენტო ნაგებობა, რომლის მშენებლობის უფროსი გახლდათ გოლიათ ლაკირბაია. როგორც შპს „საქართველოს მელიორაციის“, მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროტექნიკური ნაგებობის ექსპლუატაციის ცენტრის უფროსმა გენო ლოლუამ გვითხრა: „1959 წელს განხორციელდა პროექტი და ნაგებობა ექსლოატაციაში შევიდა 1960 წელს. მისი დანიშნულება გახლავთ მდინარე რიონის გადანაწილება. მოგეხსენებათ, ფოთი ძლიერი წვიმების დროს ვენეციას ემსგავსებოდა ხოლმე. ეს სარეგულაციო ნაგებობა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია, რომლის მთავარი ფუნქციაა მდინარე რიონის ჩამონადენის გაყოფა ორ ნაწილად. ძირითადი ნაწილი წარმოადგენს დაახლოებით 4-5 ათას კუბმეტრს წამში, რომელიც გაედინება ფოთის ჩრდილოეთით და ამას არეგულირებს ჰიდროკვანძის ძირითადი კაშხალი თავისი დიდი ათი ფარით, ხოლო მარცხენა ნაწილი, ე.წ ქალაქის ტოტია, რომელიც უნდა ატარებდეს წამში 400 კუბმეტრს და აუცილებელია ფოთის სანაპირო ზოლის ჩარეცხვის თავიდან ასაცილებლად“.

ფოთელები ამ ხიდს უმეტესად „მეშვიდე კილომეტრით“ მოიხსენიებენ და იგი ქალაქის მთავარი შემოსასვლელიცაა. სპეციალისტების მტკიცებით, სწორედ ამ სატრანსპორტო დატვირთვამ გამოიწვია კაშხლის პარალიზება, რადგან მისი აგების დროს გათვალისწინებული არ ყოფილა ამ ფუნქციით მისი გამოყენება. ქალაქს სხვა ალტერნატივა არ გააჩნდა, ამდენად, ეს ფუნქცია კაშხალმა „შეითავსა“. დღეს

დასასრული 4-გვ.

ჰიდროკვანძის რეაბილიტაციის ტენდერი გრძელდება

დასაწყისი 3-გვ.

უკვე რკინიგზისა და ამ კაშხლის ნაგებობას შორის კეთდება ახალი სატრანსპორტო ხიდი, რომელიც შედის ახალი ავტობანის პროექტში, რაც თავისთავად განტვირტავს კაშხალს და ვმასზე მძიმე ტვირთიანი მანქანები არარ იმოძრავებენ. გენო ლოლუას თქმიტ, აიკრძალება გადაადგილება, რადგან ამდენი დატვირთვის გამო გამოწვეულმა ვიბრაციამ მიიყვანა კაშხალი აღნიშნულ მდგომარეობამდე: “ნაგებობის დაპროექტებისა საერთოდ არ იყო გათვალისწინებული მასზე მანქანების მოძრაობა და მით უმეტეს,ასეთი სიმძიმის მქონეთა. ესაა წყალგამყოფი ნაგებობა თავისი ათიოვე ფარით, რომელსაც შემდგომ მიაბეს სატრანსპორტო ხიდი, რადგან სხვა ხიდი არ არსებობდა სამოძრაოდ. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი,იყო შემოთავაზება, დაწესებულიყო გარკვეული რაოდენობის გადასახადი მძიმე წონიანი მანქანებისათვის, მაგრამ ეს იდეა არ განხპორციელდა. ალტერნატიული სატრანსპორტო ხიდის არარსების გამო, ორი ფუნქცია შეითავსა შენობამ, რამაც მისი მდგომარეობა დააზარალა”.

წყალგამყოფი ნაგებობა კომპლექსური ფუნქციონირების მქონე, სტრატეგიული მნიშვნელობის ნაგებობა გახლავთ, რომლის არასწორმა ექსპლუატაციამ ან დანგრევა-ამოყირავებამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, მოსალოდნელი ზარალი დაახლოებით 40-45 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენს. როდესაც ნაგებობა არ მუშაობს,იწვევს შეტბორვას და გადავარდნას ორივე - როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ნაპირზე. რიონის მარცხენა ნაპირზე მთლიანადაა განლაგებული ფოთი თავისი ინფრასტრუქტურით, მოსახლეობით და პორტით, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს ხობის რაიონის სოფლების - პატარა ფოთის, ჭალადიდისა და საგვიჩიოს სამეურნეო სავარგულები, სატუმბი სადგურები და ასევე მოსახლეობა, რომლის დატბორვის ალბათობა დიდია, თუ მოხდება ამ ნაგებობის კოლაფსი. წლების განმავლობაში ჰიდროკვანძულ ხიდთან და მის პრობლემებთან დაკავშირებით გამუ მებვით იყო საუბარი პრესა თუ ტელევიზიებში, ადგილობრივი ხელისუფლებაც ამ პოზიციას იზიარებდა. მაშინდელი მერის მოადგილე ლევან ჩოჩიას განცხადებით, ხიდი აუცილებლად უნდა გადაკეტილიყო, რადგან მისი ამოყირავების საშიშროება არსებობდა და სწორედ ამიტომ აუცილებელი იყო ამ ფარების ამუშავება და მწყობრში მოყვანა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ტენდერი 3 ეტაპადაა დაყოფილი, პირველი ეტაპი 10 ფარის აწევაა, რომელიც ძირითად კაშხალზეა განთავსებული და ითვალისწინებს 4 000 კუბმეტრ/წამის გატარებას ზღვის მიმართულებით. ამ ფარების აწევა წყალდიდობების დაწყებამდე, ანუ მარტის შუა რიცხვებამდე უნდა განხორციელდეს და შემდეგ, პარალელურ რეჟიმში, გაგრძელდება სამუ-შაოები. ამისათვის საჭიროა ფარების გადაკეტვა მცირე ხნით, რათა მყვინთავებმა ჩასვლა და გამოკვლევა შეძლონ. შემდეგ მოხდება ეჰავალატირება და გაზომვა. ზღვის მხარეს მდებარე კაშხლის ქვეშ 60 მეტრი ბეტონია გაკეთებული. 2004 წელს მსოფლიო ბანკმა შეისწავლა ნაგებობა და რეაბილიტაციაც განხორციელდა 2005 წელს. ეს იყო დროებითი გამაგრებითი სამუშაოები. ასეთი ტიპის ნაგებობის გამაგრება ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს, ასეთია მსოფლიო პრაქტიკა. შავმა ზღვამ სანაპიროს გამორეცხვა რომ აღარ გასგრძელოს და ქალაქის არხმა თავისი ფუნქცია დროულად შეასრულოს, აუცილებელია, მაქსიმალური ხარჯის 400-450 კუბამეტრი/წამის გატარება, რასაც ხელს შეუწყობს და აუცილებელი პირობაა არხის გაწმენდა შლამისგან, ასევე ალაგ-ალაგ დაზიანებული ბეტონის კედლების აღდგენა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა სატუმბი სადგურების გამართული მუშაობა, რის გარეშეც ვერ მოხდება ქალაქის დატბორვის თავიდან აცილება, ასევე არხის გასწვრივ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული დახურული გალერეების გაწმენდა-რეაბილიტაციაააცაა აუცილებლად განსახორციელებელი სამუსაეობის სიაში.

ამ პროექტის დროული განხორციელება ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. შედეგად, ბოლო მოეღება წვიმის სეზონის დროს ქალაქის ქუჩების დატბორვას და ქალაქს შეუნარჩუნდება ძალიან მნიშვნელოვანი ძველი არქიტექტურის ნიმუში,რომელმაც ბევრ წინააღმდეგობას და „ზეწოლას“ გაუძლო ამ წლების განმავლობაში.

გოჩა კურდღელია: „ყველაფერი ფოთელების საკეთილდღეოდ კეთდება„

დასაწყისი 3-გვ.

ბას მდინარე რიონზე და კილომეტრ ნახევარი გზის მშენებლობას. რაც შეეხება მეორე ეტაპს, ჯერ თანხები გამოყოფილი არ არის. საპროექტო სამუშაოები შესრულებულია, მაგრამ სატენდერო წინადადებები ჯერ მზად არ არის. ჩვენ აუცილებლად ჩავერთვებით და გავითვალისწინებთ ყველა სპეციალისტის აზრს. კუნძული კოლიმბარი ჩვენთვის არის ჩვენი ქალაქის მნიშვნელოვანი აქტივი და იქ ვფიქრობთ ტურისტული პოტენციალის განვითარებას. ამიტომ აქტიურად მივიღებთ მონაწილეობას. ისიც არის, რომ გზის გატარებამ ის უბანი გააცოცხლოს და ამ გზამ ორმაგი დატვირთვა იქონიოს. ასევე მინდა მოვუწოდო ჩვენს თითოეულ თანაქალაქელს, აქტიურად ჩაერთოს კუნძულის სანაპიროს განვითარებაში. ახლა მზადდება საკონკურსო პირობები. ვაცხადებთ კონკურს და არა ტენდერს იმისათვის, რომ აბსოლიტურად ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლოს მონაწილეობა.

– პრობლემა რომლის წინაშეც ახლა დგას ქალაქი

– დასაქმების პრობლემა ყველაზე მთავარია. ქალაქში მალე სრული სიმძლავრით ამუშავდება „აჭარა ტექსტილი”, სადაც უნდა დასაქმნდეს 3000 ადამიანი და ვფიქრობთ, ეს საწარმო, მეტნაკლებად, გადაჭრის დასაქმების პრობლემას.

– სამწუხაროდ აქ საკმაოდ დაბალი ხელფასებია

– ჩვენ შევხვდით ხელმძღვანელობას. როგორც გვითხრეს, საწარმო აწყობის ეტაპზეა. ესაა გადამზადების ეტაპი და როგორც კი გავლენ რეალიზაციაზე, 50-70 % მოიმატებს ხელფასები. ამასთან ერთად, გვაქვს თავშესაფრის პრობლემა. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი შეჭირვებული ოჯახი მოდის თავშესაფრის თხოვნით. უმრავლესობამ სხვადასხვა გარემოებების გამო დაკარგა საცხოვრებელი. ამიტომ დონორ ორგანიზაციებთან და შესაბამის სამსახურებთან ერთად ვმუშაობთ, რომ ქალაქში შეიქმნას შეჭირვებული ადამიანებისათვის თავშესაფარი.

– როგორც გავიგეთ, უკვე იგეგმება თავშესაფრის მშენებლობა.

– კარგი იქნებოდა, ქალაქს ქონოდა ამის საშუალება, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ამის საშუალება არ გვაქვს. მოვუწოდებ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაც შეიძლება მაქსიმალურად იმუშაონ დონორ ორგანიზაციებთან. როგორც ვიცი, არიან დონორი ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ მსგავს პროექტებს. ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერში მხარში ამოვუდგებით.

– რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ტურიზმის განვითარების კუთხით?

– მინდა ვთქვა, რომ სერიოზული ინვენსტირება ხდება მალთაყვის სანაპირო ზოლის განვითარებაზე, ასევე კუნძულის სანაპირო ზოლის რებილიტაცია იწყება. ამასთანავე, დიდი იმედები გვაქვს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და საკანონმდებლო ორგანოსთან მუშაობის შედეგად მივაღწიოთ სამონადირეო და სათევზაო ტურიზმის განვითარებას. დიდი სურვილი გვაქვს ათვისებულ იქნას ფოთის კუნძულები, მაგრამ ესეც დამოკიდებულია ფინანსებთან, ინვენსტიციებთან. ჩვენ შევქმნით პირობას, რაც შეიძლება ბევრი ინვენსტიცია მოვიზიდოთ. ამ კუთხით ვამზადებთ პროექტებს. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

– რა ბედი ელის დანგრევის პირას მისული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და სმარტის შენობას?

– აქტიურად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ეკონომიკის სამინისტროსთან, რომელმაც ეს შენობები გასცა გარკვეული ვალდებულებების სანაცვლოდ. ასევე კომპანა ვისოლთან და მის სამართალმემკვიდრეებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები. პირველ რიგში “სმარტის” შენობა დასრულდება. ტურისტული პოტენციალის მქონე ქალაქს არ უნდა ქონდეს უსახური და შეჩერებული შენობები.

– ცენტრალურ პარკში არსებული კაფე „კომანჩაროს” ერთ-ერთი მეწილე თქვენ ხართ, გეგმავთ თუ არა ამ ერთ დროს ფრიად პოპულარული შენობის აღდგენას?

– რა დასამალია, ერთ-ერთი მეწილე ვარ. იქ იგეგმებოდა სხვადასხვა გასართობი ატრაქციონის გაკეთება, თუმცა ყოველთვის არ ხერხდება ჩანაფიქრის ზუსტად განხორციელება. გპირდებით ამ შენობას მიეცემა ფუნქცია.

– როგორ შეაფასებთ თქვენს სამთვიან მუშაობას?

– ალბათ მოსახლეობამ უნდა შეაფასოს. ჩემი მხრიდან შეფასება მიზანშეწონილი არ იქნება. ვიმედოვნებ, მომავალი სამი თვე და დანარჩენი თვეები უფრო ნაყოფიერი იქნება.

პირველკლასელების ოთახში ჭერის ფრაგმენტი ჩამოვარდა

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ჩვენი გაზეთის რედაქციას ფოთის მე-2 საჯარო სკოლის 1 კლასის მშობლები დაუკავშირდნენ და სკოლაში არსებული მგომარეობის გაშუქება გვთხოვეს. ისინი შიშობენ, რომ მოსწავლეების საკლასო ოთახში ყოფნა სახიფათოა, რადგან რამდენიმე დღის წინ ჭერის ნაწილი ჩამოვარდა, საბედნიეროდ ბავშვები არ დაშავებულან, ოთახი ნესტიანია და სათანადოდაც ვედარ თბება. მშობლები როგორც ამბობენ, სკოლის დირექტორმა მეორე ცვლაში გადასვლა შესთავაზა, მაგრამ მშობლების უმრავლესობისთვის შემოთავაზებულ წინადადება, სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, მოუხერხებელი აღმოჩნდა. ოთახის ასეთი მდგომარეობა სკოლის ტერიტორიაზე არსებული სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოებმა გამოიწვია, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. პრობლემაში უკეთ გასარკვევად მე-2 საჯარო სკოლის დირექტორს მზია ბახტაძეს მივაკითხეთ. მისი თქმით, სასწავლო წლის დაწყებამდე სასკოლო ოთახი გარემონტდა: „ძალიან მტკივნეული თემაა ჩემთვის. იმდენად განვიცდი, რომ მრცხვენია კიდეც. ახალი სასწავლო წლისათვის, რაც შეიძლებოდა, სუფთა ოთახი დავახვედრე პატარებს, ჭერზე მუყაო თაბაშირი ავაკარით, საკლასო ოთახიც შევღებეთ. სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოების დროს გადახსნეს სახურავი, საიდანაც წყალი უკვე ჩვენს გარემონტებულ ოთახში ჩადის. ნესტის გამო თაბაშირმუყაო გაფუჭდა. სამშენებლო კომპანია ვალდებულებას იღებს, სპორტული დარბაზის გადახურვის შემდეგ გაარემონტოს საკლასო ოთახიც. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ აქ სკოლის ბრალი არაფერია. მიუხედავად არსებული მდგომარეობისა,ბავშვისათვის სახიფათო არ არის საკლასო ოთახში ყოფნა. ოთახი საკმაოდ გრძელია და ბავშვები ოთახის მეორე ნაწილში არიან განთავსებულნი”.

ბახტაძის განმარტებითვე, სკოლას ალტერნატიული ოთახი არ გააჩნია, რომ პატარები დროებით მაინც, სხვა საკლასო ოთახში გადაიყვანონ. სკოლაში ორცვლიანი სწავლებაა. გარდა მშენებლობის გამო წარმოქმნილი პრობლემისა, სკოლის დირექტორი ფართის სიმცირეს უჩივის და ამის გამო წუხს: „არავის სიამოვნებს ორ ცვლაში მუშაობა. ვაპირებდი სპორტული დარბაზის მხარეს ოთხი ოთახის მოშენებას, ოთხი ოთახი ქვემოთ, ოთხი ოთახი ზემოთ მთლიანად გაგვათავისუფლებდა ორი ცვლისაგან, მაგრამ კომპანიამ გაიმარჯვა და პროექტის მიხედვით დაიწყეს მუშაობა. მთლიანად დაანგრიეს ძველი შენობა. თუ ასე ანგრევდნენ, კედელი ცოტათი გაეწიათ და მეც შევძლევდი ოთახების მიშენებას. რომ მცოდნოდა, ასეთი რამ ცხადდებოდა, ვიბრძოლებდი სკოლის გაფართოებისათვის. ახლა სპორტსკოლა კომფორტულადაა, ჩვენ კი ასე ვწვალობთ. სპორტული დარბაზი განთავსებულია სკოლის ტერიტორიაზე. მერიამ ტენდერი ჩემგან და განათლების სამინისტროსგან დამოუკიდებლად გამოაცხადა. მუშაობა ისე დაიწყეს, ჩვენთვის არც უთქვამთ. სრულიად მოწესრიგებული ეზო მქონდა და დღეს ხედავთ რა დღეშია”.

სპორტულ დარბაზს რემონტს ტენდერში გამარჯვებული შპს „მშენებლობის კასპიისპირეთის სამართველო” უტარებს. კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ სპორტული სკოლის გადახურვის შემდეგ აუცილებლად გაარემონტებენ საკლასო ოთახს. სამუშაოების გაჭიანურება პროექტში ცვლილებების შეტანამ გამოიწვია, თუმცა ვადები დარღვეული არ არის და სპორტული სკოლა დროულად ჩაბარდება დამკვეთს.

გაერთიანება გაერთიანებისთვის

როგორ მუშაობს გაერთიანებული აიპი

ივეტა პაჭკორია
ფოთი

რამდენად ეფექტურია ერთი წლის წინ გაერთიანებული აიპების მუშაობა, დღესაც სადავო თემა გახლავთ. გაერთიანებას ერთი წლის წინაც და დღესაც ყავს მოწინააღმდეგები როგორც სასპორტო სკოლების, ისე კულტურის სფეროს სხვადასხვა სკოლის ხელმძღვანელების მხრიდან. გასულ წელს ადგილობრივი ხელისულების მიერ ჩატარებული სამსახურების რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის შედეგად შეიქმნა ორი სამსახური - სახელოვნებო ცენტრი, რომელშიც გაერთიანდა ხუთი სუბიექტი და სასპორტო საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანება, რომელშიც ასევე გაერთიანდა 11 სასკოლო ა(ა)იპი. როგორც მაშინ ამბობდნენ გაერთიანების მიზეზი „გაბერილი შტატები" გახლდათ. რეორგანიზაციის შედეგად გასულ წელს ხელისუფლებამ 400 ათასი ლარი გამოანთავისუფლა და 20 ადამიანი გაათავისუფლა, თუმცა უფრო მეტი დაემატა ახალშექმნილი სამსახურების ადმინისტარციის თანამშომლების სახით - 13 სასპორტო გაერთიანებიდან და 9 სახელოვნებო ცენტრიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ სადაც შტატები არ შეამცირეს, იქ ხელფასები გაანახევრეს. როგორც ხედავთ, მაშინდელ ადგილობრივ ხელისუფლებას "გაბერილი შტატების" უცნაური რეორგანიზაცია გამოუვიდა.

გასულ წელს სახელოვნებო ცენტრის გაერთიანებიდან სახელფასო ფონდმა 152 ათასი ლარის ეკონომია მოიტანა, აქედან 71 ათასი ლარი ადმინისტრაციის ხელფასებისათვის გამოიყო, საბოლოო ჯამში ეკონომიამ შეადგინა 81 ათასი ლარი.

ჩვენ ხმაურით გაერთიანებული სამსახურების თანამშრომლებს ვკითხეთ რამდენად ეფექტურად მუშაობენ გაერთიანებიდან ერთი წლის თავზე.

მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის მენეჯერმა ნანუკა ღურჯიამ როგორც აღნიშნა, თავიდანვე არასწორი გაერთიანება იყო: „ეს არ იყო ოპტიმიზაცია, რაც ნიშნავს ერთი მიმართულების ორი ან რამდენიმე დაწესებულების გაერთიანებას - მაგალითად, სამხატვრო სკოლისა და სამხატვრო სასწავლებლისას, რადგან სკოლაში მომუშავე მხატვარი და სასწავლებელში მომუშავე მხატვარი ერთ შტატში ჩაითვლებოდა, ერთი ხელფასი მიეცემოდა და ეკონომიაც გამოვიდოდა. მაგრამ ჩვენი ქალაქის პირობაში, როდესაც ხუთი აიპია და ქალაქი კადრების დეფიციტს განიცდის და როდესაც ერთი კადრი მუშაობს ჩემთან და სხვაგან და სხვაგან, ამ შემთხვევაში ამ გაერთიანებამ ეკონომია ვერ გამოიწვია, რადგანაც ჩვენი ხელფასის ხარჯზე ხდება სხვა აიპების პრობლემის მოგვარება. გაერთიანება შეიქმნა ეკონომიისთვის, ჩვენ ასე განგვიმარტეს და ამაზე მოგვაწერინეს ხელი. დაიკლო ხელფასებმა და ამის ხარჯზე შეიქმნა ადმინისტრაცია. დანარჩენი სხვა ხარჯი - სამეურეო თუ საოფისე ხარჯები, ჭირდებოდა ავტონომიის შემთხვევაშიც და გაერთიანებაში შემავალ სუბიექტსაც. ამას დაემატა ადმინისტრაციის ხარჯები და აქაც არ არის ეკონომია. ელექტროენერგიაც მჭირდება იმდენი, რამდენსაც დამოუკიდებლობის შემთხვევაში ვხარჯავდი, თუმცა ახლა ემატება გაერთიანების ელექტრო ენერგიაც. ისმის ლოგიკური კითხვა - რა საჭირო იყო ამ გაერთიანების შექმნა?".

ღურჯიას თქმითვე, ადმინისტრაცია მონდომებულია და ყველაფერს აკეთებს გაერთიანებაში შემავალი სუბიექტების ხელშესაწყობად სამუშაო პირობების შესაქმნელად, მაგრამ მაინც ნაკლებად მოქნილია, რადგან მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში 500 მოსწავლე ირიცხება: „ჩემთან არის როგორც ფასიანი, ისე უფასო წრეები, სადაც დევნილები, სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანი ოჯახის შვილები უფასო განათლებას იღებენ. თვეში გაერთიანების ბიუჯეტში შემაქვს ყველაზე ცოტა 7000 ლარი, აქედან 60 % მასწავლებლის ხელფასებზე მიდის, რომლებიც ფასიან წრეს ემსახურებიან. რჩება 40 %. როდესაც მჭირდება საკანცელარიო ნივთი, უნდა დავწერო ოფიციალური წერილი ამისათვის, შემდეგ ეს უნდა გადაეგზავნოს გაერთიანებას. გაერთიანებაშიც უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სუბიექტების მოთხოვნები, მერე უნდა დაიდოს ხელშეკრულება და სანამ ამ მოთხოვნამ ჩემამდე მოაღწია, დავრჩი საკანცელარიო ნივთის გარეშე გარკვეული დროის განმავლობაში, რაც აფერხებს ჩვენს მუშაობას. მინდა ვთქვა, რომ გაერთიანებით შეიქმნა ათასი ბიუროკრატიული პრობლემა. დისკომფორტი ჩვენ გაერთიანებიდან არ შეგვქმნია. ხელმძღვანელი იმდენად შემოქმედებითი ადამიანია, რომ ღონისძიების გაკეთებისას, შეუძლია თვითონ მოგიგვაროს, თვითონ ირბინოს და ზიდოს ყველაფერი".

ღურჯიასთვის ასევე გაუგებარია, რომ მოსწალე ახალგაზრდობისა და ფოლკლორის ცენტრები გაერთიანებული იყო წლების წინ, მაგრამ არ გაამართლა და დაიშალა. მაშინ როგორ გაამართლებს 5 სუბიექტის გაერთიანება? ღურჯია

სამომავლო გეგმებსაც შეეხო – სურს, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პირველ სართული გაარემონტონ (რომელიც დღეს ამორტიზებულია) და შექმნას მხატვრული ტანვარჯიშის წრე, რომელიც ფოთს არ გააჩნია. მართალია, დარგის სპეციალისტი ფოთს არ ყავს, მაგრამ ღურჯია ბათუმიდან აპირებს ჩამოყვანას იგივე ხელფასით, რაც ადგილობრივ პედაგოგებს აქვს და როგორც ამბობს: " ეს იქნება ახალი სიტყვა ფოთში".

განახევრებულ სახელფასო ფონდზე საუბრობენ ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლებიც. მათი თქმით, არ შემცირებულა მუშაობის არც ხარისხი და დრო, შემცირდა მხოლოდ ხელფასები. ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლების ხელფასი შეადგენს 210 ლარს, რაც ამ სფეროს თანამშრომლებისათვის საკმაოდ შეუფერებელი ანაზღაურებაა. გაერთიანებამდე ფოლკლორის ცენტრის სახელფასო ფონდი შეადგენდა 200,7 ათას ლარს, ხოლო გასულ წელს 158,7 ათასი ლარი გახდა. ეკონომიამ შეადგინა 42.0 ათასი ლარი. რომელიც ცენტრში გაერთიანებული სუბიექტების საჭიროებებს ხმარდება. თუმცა, თვლიან, რომ უარიგო არ იქნებოდა, ეს თანხები მათ ანაზღაურებას და ფოლკლორული ჟანრების განვითარებას მოხმარებოდა.

გაერთიანებით უფრო რთულ და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამხატვრო სასწავლებელი, რომელიც წლებია ადგილობრივი ხელისუფლებისაგან აკრედიტაციისათვის ცალკე შენობას ითხოვს. გაერთიანებით კი სასწავლებელმა დამოუკიდებლობაც დაკარგა. სასწავლებლის მენეჯერ მაია კორკელიას ადგილობრივი ხელისუფლების ახალი გუნდის დიდი იმედი აქვს, მაგრამ მაინც საკმაოდ ხმაურიან განცხადებებს აკეთებს: „ეს წაქცეული ქალაქი შეიძლება ამ გუნდმა ფეხზე წამოაყენოს, მაგრამ წელში გამართვა ძალიან ძნელი იქნება. მინდა, ხმამაღლა განვაცხადო, რომ ჩვენს

დასასრული 7-გვ.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის დაწყებას გარემოსდამცველები აპროტესტებენ

დასაწყისი პირველი გვერდზე

აღნიშნული პროექტის რეალიზება, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ადგილი, სადაც უნდა დაიწყოს მშენებლობა, ძალიან ახლოსაა კოლხეთის ეროვნული პარკთან. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ამ ტერიტორიაზე არამდგრადი გრუნტია და ძალიან ახლოს არის მიწისქვეშა წყლები. მით უფრო, რომ შესაძლოა დაირღვეს რამსარის კონვენცია, რომელიც იცავს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგის ტერიტორიებს.

ამ საკითხს გამოეხმაურა „საქართველოს მწვანეთა-მოძრაობა - დედამიწისმეგობრების" ხელმძღვანელი-ნინოჩხობაძე: "ამ პროექტმა შესაძლოა, ძალიან ბევრი პრობლემა შექმნას. იქ არის „კოლხეთის ეროვნული პარკი", რაც თავისთავად ნიშნავს სპეციფიკურ გარემოს. ამ ტერიტორიაზე არამდგრადი გრუნტია და ძალიან ახლოსაა მიწისქვეშა წყლებიც, რაც პრობლემაა. ძალიან დიდი თანხა იქნება საჭირო იმისთვის, რომ არაფერი დაზიანდეს და რამდენად ღირს ან რამდენად რენტაბელურია ამის შემდეგ მშენებლობა, საეჭვოა. დავამატებ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დადებითი დასკვნა თუ არ იქნა, შესაძლოა დაირღვეს რამსარის კონვენცია, რომელიც უმძიმესი წესდებაა და დარღვევის შემთხვევაში გაეროდან გარიცხავენ".

რაც შეეხა ნავთობის - „შავი ოქროს" მნიშვნელობას მსოფლიოში, ეს არის ძალთა მაპროვოცირებებელი რესურსი. შაიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ თანამედროვე პოლიტიკა ფაქტობრივად, ნავთობისთვის ბრძოლა გახლავთ. ამიტომ შეიძლება მყარად ითქვას, რომ იმ ქვეყნებს ძალიან გაუმართლათ, სადაც ნავთობის მარაგია თავმოყრილი. მაგალითად არაბული სახელმწიფოს ქვეყნებში ხრიოკი უდაბნოებია, მაგრამ ნავთობიდან მიღებული შემოსავლების წყალობით, ნამდვილ ოაზისად იქცნენ. ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავთობის როლი მსოფლიოში. არავისთვის არ იქნება სიახლე, თუ ვიტყვით, რომ ნავთობმომპოვებელი მრეწველობა ეკონომიკის დარგებს შორის ეკოლოგიური საფრთხეების თვალსაზრისით, ყველაზე სახიფათო დარგია. ჭაბურღილების ბურღვის დროს, მოპოვების პროცესში და გადამუშავების დროს გამოყენებული ქიმიური აქტივობების (რეაქციების) უმეტესი ნაწილი, აგრეთვე ამოღებული ნავთობი და მისი მინარევები ძალიან სახიფათოა მცენარეული და ცხოველური სამყაროსთვის, მათ შორის ადამიანებისთვის. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროდ რჩება ჭაბურღილიდან ამოსროლილი ნავთობი და ნავთობის თანმხლევი, ე.წ გაზის დასაწვავი, ჩირაღდნები.

საქართველოში, ისტორიულად, ცნობილი იყო ნავთობის საბადოები, სადაც მიწის ზედაპირზე ნავთობი ბუნებრივად ამოდიოდა. ნავთობის ამ ბუნებრივი წყაროებიდან ტიკების საშუალებით ხდებოდა ნავთობის ექსპორტი ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში. როგორც ცნობილია, ნავთობის ექსპორტი გაძლიერდა საქართველოს აღზევების პერიოდში, როცა საქართველოს გაჰქონდა ნავთობი ბიზანტიის იმპერიაში. შემდგომ პერიოდში საქართველოში ნავთობის მოპოვებამ პიკს მიაღწია, ჯერ მეოცე საუკუნის 30-70- იან წლებში(20-55 ტონა საშუალოდ წლიურად) და 1984 წელს 3.3 მლნ ტონა შეადგინა წლიწადში. თუმცა, შემდგომ უკვე საქართველოში იწყება რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა და 1989 წლიდან ნავთობის მოპოვება პრაქტიკულად შეჩერდა.

ამჟამად, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სალიცენზიო ფართობებად, სადაც მიმდინარეობს ნავთობის ძებნა და მოპოვების სამუშაოები, რომელსაც სხვადასხვა დროს ახორციელებენ საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც გამოვლენილნი არიან ტენდერის საშუალებით. ამ კომპანიებს ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული სახელმწიფოსთან პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით. საქართველოში ნავთობის მოპოვებით საქმიანობას მხოლოდ 5 კომპანია ახორციელებს, ხოლო შვიდი კი აწარმოებს ძებნით სამუშაოებს. ქვეყანაში რამდენიმე ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა არსებობს –მათ შორის სუფსისა დაყულევის ტერმინალები .

როდესაც ყულევის ტერმინალის მშენებლობა დაიწყო (იგი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე), დასაწყისშივე, გარემოს დაცვის კუთხით შეცდომა დაუშვესტერმინალმა მდინარე ხობისწყალის შესართავთავთან. მიითვისა ის ტერიტორიები, რომელიც წარმოადგენს საარსებო გარემოს გადამფრენი ფრინველების უამრავი სახეობისთვის, აქვეა გავრცელებული ფლორის მრავალი ენდემური და რელიქტური სახეობა და უნუკალური ჭაობები. ტერმინალი მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის უშუალო სიახლოვეს, ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში და საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბტერიტორიაზე, რომელიც დაცული გახლავთ რამსარის კონვენციით. საზღვაო ნაკრძალის შუაგულში ტერიტორია, რომელიც მიაკუთვნეს ტერმინალამდე მისასვლელ რკინიგზას, წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიას. შამწუხაროდ, იმ პერიოდში ქვეყანაში სამართალი არ ფუნქციონირებდა, არა-ერთი საგამოძიებო გადაცემა და სტატია მიეძღვნა ამ ტერმინალს, სადაც გამოიკვეთა ათასნაირი ფინანსური თუ სხვა მაქინაციები.

დღეს ქვეყანაში ამ მიმართულებით კანონი არსებობს და ავალდებულებს

გაზეთი ,,მთავარი თემა სამეგრელოში,, აცხადებს კონკურსს ქალბატონებისათვის სახელწოდებით ,,წარმატებული ქალი 2018,,

ძვირფასო ფოთელებო ჩვენი გაზეთის მეშვეობით გეძლევათ შესაძლებლობა თავად აირჩიოთ წარმატებული ქალი. ამისთვის გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ქალბატონების შესახებ, ვინც ნებისმიერ სფეროში წარმატებული საქმეებით გამოირჩევიან.

რჩეულთა კანდიდატები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ რედაქციაში, ან დაგვირეკეთ, გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე: mtavaritsamegrelshi@gmail.com

წარმოდგენილი კანდიდატების შერჩევა მოხდება კონკურსის სახით. გაზეთში დაბეჭდილი სპეციალური ბლანკის მეშვეობით გამოვლინდება წარმატებული ქალი.

ამჯერად გთავაზობთ კონკურსანტ ქალბატონს თეა მიგინეიშვილს

,,გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, არასდროს არ უნდა დანებდე..,,

თეკლე მატკავა
ფოთი



გურამ დოჩანაშვილის "სამოსელი პირველი" მისი უსაყვარლესი ნაწარმოებია, გამორჩეული ფრაზა კი – "დედამიწას სიყვარული ატრიალებს, დომენიკო". ქვეყანაში და ჩვენს პატარა ქალაქში ბევრი ქალია, რომლებიც თავის საქმეში თუ პირად ცხოვრებაში რეალიზებულნი არიან. ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარი თეა მიგინეიშვილი გახლავთ. ქალბატონი, რომელმაც შეძლო იდეალურად დაებალანსებინა პირადი ცხოვრება და წარმატებული კარიერა, რაც თავადაც დიდ გამარჯვებად მიაჩნია.

თეა მიგინეიშვილი დაიბადა ფოთში. სკოლის დასრულების შემდეგ 1993-2000 წლებში თბილისის სახელმწიფო აკადემიაში ექიმი-თერაპევტის სპეციალობაზე სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგაც იწყება მის კარიერულ ცხოვრებაში საინტერესო პერიოდი. 2001 წელს მუშაობა დაიწყო შპს ფოთის სამედიცინო დახმარების სამსახურის-03-ის ბრიგადის ექიმად და იქ 2013 წლამდე დარჩა. ამავდროულად 2006-2012 წლებში შპს ფოთის სამედიცინო სამედიცინო დახმარების-03-ის რეანიმობილის ბრიგადის ექიმი გახლდათ. 2012-2013 წლებში ფოთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მენეჯერი და ამავე დროს სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"- ს სამეგრელოს რეგიონის კატასტროფის სამსახურის რეგიონალური კოორდინატორი გახდა. 2013 წელს, სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"- შპს ფოთის პირველი პოლიკლინიკის მენეჯერად დაინიშნა. 2013-2014 წლებში საჯარო სამსახურშიც სცადა თავი, იყო შეთავაზება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტიდან და წარმომადგენლად დაინიშნა ფოთის, ხობის და აბაშის რაიონებში. 2013 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი" -ს „ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს". 2016 წლიდან ამავე საავადმყოფოში დირექტორის პოზიციაზე დაინიშნა.

ძალიან საინტერესო და დიდი გამოცდილება აქვს შეძენილი მთელი ამ წლების განმავლობაში, რამაც საშუალება მისცა მას კარიერულ წინსვლაში. იყო პერიოდი, როდესაც თავს პრაქტიკოს ექიმად მიიჩნევდა, თუმცა ცხოვრებამ სრულიად დაუგეგმავად მისცა შანსი, ძალები გამოეცადა მენეჯმენტშიც. როგორც თავად აღნიშნავს: „ ბუნებით რისკიანი და ცოტა ავანტიურისტი (რა თქმა უნდა, კარგი გაგებით) ვარ, სიახლეები მიყვარს, მომწონს ახალი გამოწვევები. როდესაც ახალი შანსი გამიჩნდა ცხოვრებაში, მქონდა შემოთავაზება, ვთქვი- რატომაც არა?! თუმცა ძალიან ბევრი ვიფიქრე და ავწონ-დავწონე ყველაფერი რადგან დიდი პასუხისმგებლობა იყო ამავდროულად, გავრისკე და არც ვნანობ. სამედიცინო კორპორაცია ევექსმა მომცა შანსი, ძალები მომესინჯა მენეჯმენტის მიმართულებით, ახალი უნარები აღმომეჩინა საკუთარ თავში, რისთვისაც მუდამ მადლიერი ვიქნები. ზოგჯერ საკუთარ თავს ხუმრობით ევექსელ „კონკიას"-აც ვეძახი. ეს შეიძლება ჩაითვალოს წარმატებისკენ გადადგმულ პირველ და გამართლებულ ნაბიჯად. ეს იყო მოულოდნელად გამოჩენილი შანსის გამოყენება. შემომთავაზეს სხვა ქალაქში, სხვა რეგიონში გადავსულიყავი, მაგრამ უარი ვთქვი, ვერ შეველიე ჩემს ქალაქს. მინდა საყვარელი საქმე მშობლიურ ქალაქში ვაკეთო."

ძლიერი ქალი და წარმატებული კარიერის მქონე ქალბატონი თეა ძალიან შეყვარებულია. ბევრს არ საუბრობს თავის პირად ცხოვრებაზე- მეუღლეზე, შვილზე, მაგრამ აღნიშნავს, რომ ძალიან ბედნიერი ცხოვრება აქვს.

ოჯახი და კარიერა

„სხვადასხვა ტიპის ქალი გვხვდება ცხოვრებაში: ქალბატონები, რომლებმაც გამოსავალი ნახეს კარიერაში, პირადი ცხოვრება არ გამოუვიდათ, ან პირიქით, პირად ცხოვრებაში ძალიან ბედნიერნი არიან და ვერ გამონახეს დრო კარიერისთვის. ბალანსი ყოველთვის არ ხერხდება. არ ვიტყვი, რომ ან ერთი ან მეორე აუცილებლობაა, მთავარია, რა სურს ქალს, სად გრძნობს თავს ბედნიერად. მე რადაცნაირად ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა ორივე მიმართულებით. თუ ჩემი პირადი სივრცე არ არის მოწესრიგებული, ჩემი ახლობელი ადამიანები არ გრძნობენ თავს ბედნიერად, ჯანმრთელად, მეც ვერ ვიქნები ბედნიერი. ვიტყვი, რომ ცხოვრებასთან დათმობაზე არ წავსულვარ, მაგრამ ნებაყოფლობითი და ზოგჯერ სასიამოვნო დათმობები იყო. როცა შვილი პატარა მყავდა, მეტი ყურადღება სჭირდებოდა ჩემგან. დროის დეფიციტის მიუხედავად, ვცდილობდი მაქსიმალურად ჩართული ვყოფილიყავი მისი ცხოვრების მნიშვნელოვან ამბებში, მაგრამ ისე, რომ თავისუფლება და არჩევანის უფლება არ შემეზღუდა. ახლა უკვე დიდი გოგოა, 19 წლის, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სწავლობს პოლონეთში, სრული დაფინანსება მოიპოვა. შეიძლება სუბიექტურად გამომდის (ეცინება), მაგრამ, ვთვლი, რომ ძალიან კეთილი და გულისხმიერი გოგოა, მიზანდასახულიცაა და მჯერა, რომ ყველა ოცნების რეალიზებას შეძლებს. ჩემთვის მთავარია, ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს, დანარჩენს თავად გადაწყვეტს. პირად ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემი ადამიანი ვიპოვე მეუღლის სახით, ჩემი ნამდილი მეორე ნახევარი. 20 წლიანი თანაცხოვრების განმავლობაში ჩემთვის ერთგული პარტნიორი, თანამებრძოლი, მეგობარი, თანამოაზრე და შეყვარებულია".

-როგორ შეაფასებდით თქვენს განვლილ გზას დღემდე?

„პირველ რიგში გეტყვით, რომ არაფერს შევცვლიდი. ისევ იმავე საქმეს, პროფესიას ავირჩევდი, თუნდაც პირადი ცხოვრების მიმართულებით, ისევ ამ ადამიანს ავირჩევდი. უბრალოდ ახლა ამ ასაკში, ამ გადასახედიდან და გამოცდილებით, უფრო მეტად ვიქნებოდი დამთმენი, უფრო მეტ ცოდნას შევიძენდი, თუმცა, არც ახლა არის გვიან. მეტ სითბოს გამოვხატავდი საყვარელი ადამიანების მიმართ, მეტ დროს გავატარებდი მათთან. დღეს დროის და ურთიერთობების დეფიციტია, რომელიც ცხოვრების რიტმაც მოიტანა".

„ნებისმიერი საქმე გულით და სიყვარულით, მაღალი პასუხისმგებლობით უნდა აკეთო, მაშინ ყოველთვის მართალი იქნები საკუთარ თავთან და სინდისთან. ვთვლი, რომ თუ ოდნავ მაინც შეგიძლია ადამიანის მიმართ გამოხატო თანაგრძნობა და თანადგომა ნებისმიერი ფორმით, ეს უნდა აკეთო უშურველად. სიკეთე და სიყვარული, ამ ორი ცნების ირგვლივ ბრუნავს სამყარო".

ოცნება რომელიც ჯერ არ განგიხორციელებიათ.

„ორ რაღაცაზე ვფიქრობ: როდესაც მედიცინაში საკუთარ თავს ამოვწურავ, წლების შემდეგ თავი წარმომიდგენია ლიტერატურული კაფის მფლობელად. შევქმნიდი ისეთ გარემოს, სადაც ადამიანები დატვირთული დღის შემდეგ შეიკრიბებიან, გაცვლიან თავიანთ აზრებს, შეხედულებებს, ისაუბრებენ წიგნებზე, მოუსმენენ გემოვნებიან მუსიკას და უბრალოდ სასიამოვნოდ გაატარებენ საღამოს. მეორე, რაზეც დიდი ხანია ვფიქრობ, მოხუცთა თავშესაფარია. თბილი, სიყვარულზე და ოჯახურ გარემოზე ორიენტირებული სახლი. ძალიან მინდა, ქალაქში იყოს ერთი ადგილი, სადაც მოხუცები თავს კარგად და ბედნიერად იგრძნობენ. მიმაჩნია, რომ ქვეყნის განვითარების ხარისხი იმითაც იზომება, რამდენად პატივისცემით და ღირსეულად ვეპყრობით მხცოვან ადამიანებს".

რას ურჩევთ ქალბატონებს?

-„მინდა, მეტად რეალიზებულნი იყვნენ. ქალთა მიმართ ძალადობას მინდა შევეხო. ვეტყვი ქალბატონებს - არ შეეშინდეთ, არ მოითმინოთ ძალადობა, გამოსავალი ყოველთვის არსებობს! ბედნიერება მინდა ვუსურვო და სიყვარული! ჩვენ ხომ ძალიან ლამაზები, ლაღები და ყოვლისშემძლეები ვართ, როცა გვიყვარს".

ისტორია, რომელიც მუდამ თან დაგყვებათ.

„ ვინც მიცნობს, ზოგადად იცის, როგორი ხიფათიანი და ფათერაკიანი ვარ. ამის გამო ბევრი ტრავმა მაქვს მიღებული. ძალიან აქტიური მოზარდი ვიყავი. ყველგან გამოვცადე ჩემი თავი: სპორტში, მუსიკაში, ცეკვაში და ა.შ. „თინეიჯერობის" პერიოდში ხერხემლის ტრავმა მივიღე, რომელმაც ერთი წელი საწოლს მიმაჯაჭვა. ეს პერიოდი აღმოჩნდა ყველაზე რთული, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიკურად აუტანელი ტკივილების გამო, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს. ამ შემთხვევის წყალობით უფრო ძლიერი და ამტანი გავხდი. დიდი შრომის და ნებისყოფის ფასად თავიდან ვისწავლე ჯერ ჯდომა, მერე დგომა, მერე სიარული, რასაც თან ახლდა საშინელი ტკივილი. არ ვნებდებოდი და მჯეროდა, რომ აუცილებლად ყველაფერი გამომივიდოდა. ჯერ კიდევ იმ დროიდან მივხვდი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახლობლების თანადგომას. ვისწავლე, რომ იმედი არასოდეს უნდა დაკარგო. მიზანდასახულობას და შრომას ყოველთვის აქვს შედეგი. მივხვდი, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს არასდროს არ უნდა დანებდე სანამ ცოცხალი ხარ".

კონკურსი

,,წარმატებული ქალი,,

კუპონი №3

კონკურსანტის
სახელი და გვარი ----------

ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7

გაერთიანება გაერთიანებისთვის

როგორ მუშაობს გაერთიანებული აიპი

დასაწყისი 5-გვ.

ქალაქში კულტურის სამსახური საერთოდ არ არსებობს. 2006 წელს, როდესაც საშუალო რგოლი გაუქმნდა, იყო უმაღლესი რგოლი და სკოლა. კანონში წერია - თუ ადგილობრივი თვითმართველობა გადაწყვეტს, რომ შეინარჩუნოს საშუალო რგოლი თავის ბიუჯეტზე, შეიძლება ვიარსებოთ. უფლის წყალობით, გამოჩნდნენ ადამიანები ადგილობრივ ხელისუფლებაში, რომლებმაც 2008 წელს აღგვადგინეს. გაერთიანება თავიდავე არ იყო გამართლებული. ფოლკლორის ძალიან ძლიერი და ტრადიციული ცენტრი და ასევე საკმაოდ ძლიერი მოსწავლეთა ახალგაზრდული შემოქმედებითი ცენტრი გაერთიანდა. ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ ცენტრი არსებობს ცენტრში და ბოლოს კლასიკური სამხატვრო სკოლა და საგამოფენო დარბაზიც. კანონის თანახმად, ოპტიმიზაციის შემთხვევაში, უნდა მოხდეს 10% ეკონომია, ჩვენი სასწავლებლის ხარჯზე კი მოხდა 37 % ეკონომია. მოტივაცია დაკარგეს მასწავლებლებმა, რადგან ხელფასები განახევრდა - რამდენიმე მასწავლებელს 115 ლარი აქვს ხელფასი, სასაცილო და სამარცხვინოა. შემცირდა ასევე მოსწავლეთა რაოდენობა, დამოუკიდებლობა დავკარგეთ და თუ ადრე საკმაოდ ძლიერ დიპლომს გავცემდით, დღეს გავცემ სერთიფიკატს, რომელიც აკადემიური სწავლების შესატყვისი დოკუმენტი არ არის. საკმაოდ ძლიერი ადამიანური რესურსი გამაჩნია. ჩვენი მოთხოვნაა პირველ რიგში გამოყოფა, ეკონომიკური ზრდა, ავტორიზაცია. მინდა სასწავლებელს დავუბრუნო ძველი სახელი და დიპლომის გაცემის შესაძლებლობა. ხარისხისა და განვითარების ცენტრს მივმართეთ და გვითხრეს, რომ არასაკმარისი ფართი გვქონდა. ეს სასწავლებელი სამეგრელოს რეგიონში ერთადერთი სასწავლებელია".

სულ სხვა ინფორმაცია და მონაცემები აქვს სახელოვნებო ცენტრის დირექტორს ნინო პაჭკორიას. მისი თქმით, მათი მოთხოვნები დროულად სრულდება და ზოგ შემთხვევაში პირადად მიაქვს საკანცელარიო თუ სამეურნეო ნივთები. რაც შეეხება გაერთიანებაში შემავალ სამხატვრო სასწავლებელს: „სასწავლებელი გაერთიანებაში არ უნდა მოხვედრილიყო. მეორე პრობლემა ხელფასების კლებაა და უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან დაბალი ხელფასები აქვთ. უდიდეს პატივს ვცემ ამ სფეროს ადამიანებს, მაგრამ გაერთიანების დროს, როდესაც მაია კორკელიას შევთავაზეთ შემცირება, მან ხელფასების კლება არჩია თანამშრომლების გათავისუფლებას. 36 % მოხდა მათთან ხელფასების კლება, მაგრამ მათ საქებრად უნდა ითქვას, რომ სწავლის დონე არ შემცირებულა. ყველა მოთხოვნა რაც სასწავლებელს ქონია, დამიკმაყოფილებია. მე მივწერე ქალაქის ვიცე მერს წერილი- როგორც ცენტრის ხელმძღვანელი, თანახმა ვარ, გაერთიანებიდან გავიდეს სამხატვრო სასწავლებელი. ქალაქში, სადაც უნივერსიტეტი არ არსებობს, თუ იარსებებს ნორმალური სასწავლებელი, რომელიც დიპლომს გასცემს და მომავალ თაობას ქუჩაში არ დააყენებს, მხოლოდ მისასალმებელია".

პაჭკორია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ სტრატეგიული გეგმა არ გააჩნიათ, რომელიც კულტურის სამინისტროში 3 წლის წინ უნდა წარედგინა ადგილობრივ ხელისუფლებას: „კულტურის სამინისტროში გვითხრეს, სამი წელია ვიხვეწებით, წარადგინეთ სტრატეგიული გეგმა და არ გადმოგვიგზავნესო. არადა, ეს გეგმა მოგვცემდა როგორც კულტურული ღონისძიებების, ისე კულტურული ნაგებობების რეაბილიტაციასა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობას". პაჭკორიას ინიციატივით იგეგმება ცენტრალურ პარკში არსებული ტურისტული საინფორმაციო ოფისის საგამოფენო დარბაზად გადაკეთება.

რაც შეეხება სახელოვნებო ცენტრის ბიუჯეტს, წელს შემცირებული აქვს და გასულ წელთან შედარებით ცარიელ ენთუზიამზე მოუწევს მუშაობა, რადგან სახელფასო ფონდის გარდა არანაირი სამუშაო თანხა არ გააჩნიათ.

რატომ დაიხურეს მსახიობებმა ჩაფხუტები და რატომ ჩაიშალა სპექტაკლები ფოთის თეატრში

თეკლე მატკავა
ფოთი

მსახიობების ამგვარი პროტესტის შემდეგ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპეციალისტებთან ერთად ფოთის თეატრი დაათვალიერა. შპს „თი აი ეი ჯი" აუდიტესკორტის ინსპექტირების ორგანომ, შენობის დეფექტური უბნების აღწერა, დაფიქსირება და შეფასება უკვე მოახდინა. სამინისტროს წარმომადგენელმა მამუკა ბახტაძემ დაზიანებული და სარემონტო წერტილები ადგილზე დაათვალიერა.

თეატრალურ ქალაქად წოდებულ ფოთს წლებია, სტანდარტების შესაბამისი თეატრი არ აქვს. მართალია, შესანიშნავი არქიტექტურის, "დედოფალივით" თეატრია მდებარეობა ქალაქის ცენტრში, საკათედრო ტაძრის მარჯვენა მხარეს, რომელიც ევროპული ქალაქის იერ-სახეს უქმნის ჩვენს ქალაქს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა, რასაც სრულიად საპირისპიროდ უამრავი "შინაგანი" ინფრასტრუქტურულ პრობლემა გააჩნია. რაც დრო გადის, თეატრი სულ უფრო ემსგავსება ძველ, საბჭოთა დროს აგებულ შენობებს. ყოველივე ამასთან, საფრთხის შემცველია მისი მდგომარეობა. შენობის დაპროექტებისას, სამუშაოების დაწყებას. ამას იქნებ არავინ ელოდა, მაგრამ დღეს ვითარება ამგვარია.

წლების წინ ერთი ადამიანი დაშავდა კიდეც თეატრში, რომელიც 5 მეტრის სიმაღლეზე სპექტაკლის დეკორაციას ამონტაჟებდა, მან სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო და დღესაც საწოლსაა მიჯაჭვული. ხოლო რამდენიმე დღის წინ, გვინ ღამით, თეატრის ფოიეში ჭერის დიდი ნაწილი ჩამოვარდა. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის შიდა ინფრასტრუქტურ აიდეალურ მდგომარეობაში არ არის, სპექტაკლებთან ერთად ქალაქის კულტურული და საზავშვო ღონისძიებები სისტემატურად იმართებოდა. ამ ბოლო შემთხვევამ გარდამტეხი როლი შეასრულა- მსახიობებმა, პროტესტის ნიშნად, ჯერ ჩაფხუტები დაიხურეს რეპეტიციის დროს, ხოლო 9 თებერვალს ჩანიშნული სპექტაკლის ჩვენება იგივე პროტესტის ნიშნად, არ გაიმართა. როგორც ჟურნალისტებთან აღნიშნა თეატრის ხელმძღვანელმა თენგიზ ხუხიამ: „გადავწყვიტეთ, შევაჩეროთ სამუშაო პროცესი, რათა დაცული იქნას ადამიანის უსაფრთხოება. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია სპექტაკლების გამართვა და მაყურებლების მიღება".

ქალაქში თეატრალური ფარდა პირველად 1879 წელს აიწია, რომელიც ფეხდაფეხ მისდევს ქვეყანაში თეატრის დაარსებას და რომელსაც საუკუნოვანი ისტორია გასდევს ფონად. არა ერთ ქარტეხილს და გამოწვევებს გაუძლო. იყო საბჭოთა კავშირი, როდესაც „მუშათა თეატრს" უწოდებდნენ და ბერიას სახელობის თეატრად მოიხსენიებდნენ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ფოთის საკათედრო ტაძარი დაიხურა და მისი შენობა ფოთის თეატრს გადაეცა მმართველობაში. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა საპატრიარქოსა და თეატრს შორის „ომი". საბოლოოდ, საკრებულოს გადაწყვეტილებით, შენობა საპატრიარქოს გადაეცა, ხოლო თეატრისთვის ახალი შენობის აგება გადაწყდა.

ამის შემდეგ იყო ხანგძლივი პერიოდი, როდესაც თეატრი და მსახიობთა დასი კულტურის სახლს აფარებდა თავს. საჭირო გახდა ახალი თეატრის აშენება. წინა ხელისუფლების დროს მშენებლობისთვის გამოიყო 11 მლნ ლარი, ხოლო თეატრის საპროექტო ღირებულება 9 მლნ ლარი გახლდათ. მშენებლობამ ცხრა წელი გასტანა. საბოლოო ვარიანტი 2014 წელს ახალმა ხელისუფლებამ ჩაიბარა და დიდი ზარზეიმითა და პომპეზურობით გახსნა. ამის შემდეგ იწყება გაუთავებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები. ჯერ თეატრის სახურავმა წყალი გაატარა. სწორედ აქედან დაიწყო მსახიობების მოთხოვნები თეატრისათვის სასწრაფო ექსპერტიზისა და რეაბილიტაციის თაობაზე. მაგრამ არსებული პრობლემის "დანახვას" კიდევ წლები დასჭირდა. ახალი ხელისუფლება აქტიურად ჩაერთო პრობლემის მოგვარებაში, ამ ვითარების დასაძლევად შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელმაც ადგილზე შეისწავლა არსებული ვითარება, პარალელურად კი მიმდინარეობდა კულტურის და სპორტის სამინისტროში მოლაპარაკებები თეატრის სასწრაფო რეაბილიტაციისათვის, რომელსაც ესწრებოდნენ მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი და თეატრის ადმინისტრაცია. შეხვედრა ნაყოფიერი აღმოჩნდა თეტრისათვის –მოძიებულ იქნა სარეაბილიტაციო საჭირო სახსრები. ფოთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი მოიცავდა შენობის დეფექტური უბნების აღწერას, დაფიქსირებას და მის შეფასებას." როდესაც ცნობილი გახდება ექსპერტების შეფასება, იმის მიხედვით პირველი ნაბიჯები გადაიდგმება უსაფრთხოების მიზნით"- განაცხადა თენგიზ ხუხიამ.

სპორტი

ფოთელი კალათბურთელების მორიგი გამარჯვება

10-11 თებერვალს თბილისში კალათბურთში 14 წლამდელთა შორის საქართველოს პირველობის მე-3 და მე-4 ტურების კალენდარული მატჩები გაიმართა. მე-3 ტურის მატჩში თბილისის „ზაზა-2"-მა უმასპინძლა ფოთის „ირაო"-ს. მატჩი დასრულდა ფოთელთა გამარჯვებით ანგარიშით 76:84, ხოლო მე-4 ტურის მატჩი ფოთელმა ნორჩმა კალათბურთელებმა დათმეს ორთაბრძოლა თბილისის დინამოს კალათბურთელთა გუნდთან ანგარიშით 65:75.

მომდევნო მე-5 და მე-6 ტურის მატჩები გაიმართება 17 და 18 თებერვალს ქალაქებში თბილისსა და რუსთავში.

17 თებერვალს თბილისის „ჰიუნდაი-2" უმასპინძლებს ფოთის „ირაო"-ს, ხოლო 18 თებერვალს ისინი რუსთავში შეხვდებიან რუსთაველ თანატოლებს.

სპორტის სამსახური წარმატებებს უსურვებს ფოთელ ნორჩ კალათბურთელებს.

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

საქართველოს ჩემპიონატში 13, 11, 9 და 7 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის ფოთელმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი. 13 წლის მოჭადრაკეთა შორის ბრწინვალედ იასპარეზა ელენე წოწონავამ.

7 წლის გოგონათა შორის ასევე საუკეთესო იყო და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ნია ჭითანავამ.

საქართველოს ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს: ნინო სოლომონიამ (13წ გოგონები), კახაბერ კიზირიამ (11წ ჭაბუკები),7 წლის ჭაბუკთა შორის 8 ქულით გაგა გვასალიამ, აკაკი ყალიჩავა (13წ ჭაბუკები), დიანა ლომაია (13წ გოგონები) და ალექსანდრე გარუჩავა (9წ ჭაბუკები).

მედლებისთვის ბოლო ტურამდე იბრძოდნენ და საუკეთესო ხუთეულში მოხვდნენ: ანა სანიკიძე, გიორგი კვარაცხელია და ლუკა წურწუმია. ასევე ხუთეულში დაასრულეს თამაში თეიმურაზ კვიკვინიამ და ლიზი ფოჩხუამ.

ათეთრებს კბილებს, წმენდს სახის კანს, ამაგრებს ფრჩხილებს, აშუშებს იარებს - ლიმონის გამოყენების 11 ხერხი

ბევრ ჩვენგანს უყვარს ლიმონი და მას ხშირად იყენებს კულინარიაში, თუმცა, ალბათ, ბევრმა არ იცის, რა სარგებლობა მოაქვს ამ ციტრუსს კანისა და თმის მოვლისას. გთავაზობთ ლიმონის გამოყენების 11 ხერხს კოსმეტიკურ პროცედურებში.

1. მოამზადეთ სახის კანის "გამასუფთავებელი და დამატენიანებელი" ლოსიონი: ამისათვის რამდენიმე წვეთ ქოქოსის წყალს (ქოქოსის წვენს) შეურიეთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი. ქოქოსი ატენიანებს კანს, ლიმონი კი - ასუფთავებს.

2. იდაყვებსა და მუხლებზე კანის გამათეთრებელი: თუ თქვენს იდაყვებსა და მუხლებზე კანი გამუქებულია, გაიწმინდეთ ისინი გაჭრილი ლიმონით – ეფექტით აღფრთოვანდებით.

3. აკნეს მკურნალობა: ლიმონის წვენს ანტიბაქტერიული თვისებაც აქვს - მისი წვენი გაგათავისუფლებთ გამონაყრისგან. ოღონდ შემდეგ არ დაივიწყოთ მკვებავი საშუალების გამოყენება, თორემ ლიმონი კანს ძალიან აშრობს.

4. სახის ტონიკი: შეურიეთ ერთმანეთს ლიმონის რამდენიმე წვეთი და იმდენივე წვეთი ჩაის ხის ზეთის ექსტრაქტი, დაუმატეთ 200 მლ სტერილური წყალი და გამოიყენეთ სახის ტონიკის მაგივრად.

5. კბილების გამათეთრებელი საშუალება: საკვები სოდისა და ლიმონის წვენის ნარევში დაასველეთ ყურის საწმენდი ჩხირი, წაისვით კბილებზე და შემდეგ კბილის ჯაგრისით კარგად გაიხეხეთ – ეფექტს თავად ნახავთ.

6. იარების მომშუშებელი: ლიმონის ესენციის რამდენიმე წვეთი უცებ შეგიხორცებთ სხვადასხვა იარას.

7. კანის გათეთრება ჩ ვიტამინით: ამ ვიტამინით მდიდარი ლიმონი ათეთრებს არა მხოლოდ სახის, არამედ მთელი სხეულის კანს. ეფექტი სწრაფი არ არის, თანდათან მოდის, თუმცა – აუცილებლად. ამასთან, ვიტამინი ჩ – არაჩვეულებრივი ანტიოქსიდანტია – ანეიტრალებს კანისთვის მავნე თავისუფალ რადიკალებს და აჩქარებს კოლაგენის წარმოქმნას.

ლიმონი ეფექტურია პიგმენტური და ხელოვნური რუჯისგან გაჩენილი ლაქების მოსაცილებლადაც. თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ლიმონი არა მარტო აშრობს კანს, არამედ მას ულტრაიისფერი სხივების მიმართ მეტად მგრძნობიარეს ხდის. ასე რომ, აუცილებლად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემები.

8. კანზე ცხიმიანი სიბზინვარის შემამცირებელი: ლიმონის წვენის გამომშრობი ეფექტი კანის მოჭარბებული ცხიმიანობისგანაც გაგათავისუფლებთ.

9. ტუჩის პილინგი: ცოტაოდენი ლიმონის წვენი წაისვით ტუჩებზე და დაიტოვეთ მთელი ღამით, დილით კი ჩამოიბანეთ. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება არ ღირს იმ შემთხვევაში, თუ ტუჩები იმდენად დამსკდარი გაქვთ, რომ სისხლი გდით.

10. ფრჩხილების გამაგრება: მტვრევადი და გაყვითლებული ფრჩხილების გამაგრება და გათეთრება შესაძლებელია, თუკი წაისვამთ (ან ჩააწყობთ ხელებს) ზეითუნის ზეთისა და ლიმონის წვენის ნაზავში. ეს არა მხოლოდ არაჯანმრთელი ფრჩხილების შემთხვევაშია სასარგებლო, არამედ მაშინაც, თუკი ხშირად იყენებთ ფრჩხილის ლაქს.

11. თმის გამაღიავებელი: თუ არ გსურთ, რადიკალურად გაიუფერულოთ თმა სილამაზის სალონში და გინდათ, ოდნავ გაგიღიავდეთ თმის ფერი, წაისვით თმაზე ლიმონის წვენი და დაჯექით ცოტა ხნით მზეზე. ასევე, ლიმონის წვენი მოგაშორებთ ქერტლს და თმის ზედმეტი ცხიმიანობისგანაც გაგათავისუფლებთ.

გენო ქობალავას მონატრება

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამზრდელო, ამორძალი ხარ მკერდ მოჭრილი უსაქართველოდ". რა მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან აფხაზეთის მკვიდრი, აფხაზეთის ინტელიგენციის სანიმუშო წარმომადგენელი, სოფლის მეურნეობის სწავლული აგრონომი. უცებ გათავდა ცხოვრების გზა ერთი ალალი კაცისა, რომელთანაც ყოველი შეხვედრა მიხაროდა. არასოდეს დაუწუწუნია წუთისოფლის სიმუხთლის გამო, არადა, ცოტა ტკივილი როდი გადაიტანა, იყო აფხაზეთში საკუთარი სახლ-კარის დაკარგვა, ლტოლვილობის მძიმე წლები. ჩვენი მეგობრობა ერთგვარი თავშესაფარი იყო, თითქოს ერთმანეთს ვუმსუბუქებდით ცხოვრების სიმძიმეს და ვმსჯელობდით დღევანდელობის ავ-კარგზე. ქართველი კაცის ყველა ღირსეული თვისება ატარა. სანიმუშო ოჯახი ღირსეულად გააგრძელებს მის მიერ დაწყებულ საქმეს, რამეთუ შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა იცოდნენ, სად გაჩერდა მამა, ბაბუა, ხოლო ცალუღელად დარჩენილი ქალბატონი ნანული არ გააცივებს კერას და ღირსეულად ატარებს გენოს სახელს. ჩუმად იცხოვრე და ჩუმად წახვედი. წასვლით შეგვახსენე, რომ ადამიანები უკვდავები არ ვართ. სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა, სიკვდილი კაცად არ ყოფნის.

იძინე მშვიდად, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო, ჩვენ კი გულმხურვალედ ვილოცებთ, რათა სამოთხეში დაივანოს შენმა დიდებულმა სულმა.

ღმერთს ებარებოდე!

კაკო ჯაბალიას ოჯახი

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი ეთვალი თვალსაზრისი

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს

სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19
ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე

იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

ეთვალი თვალსაზრისი *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.